

„დაუკრავს“ ზმნის ერთი მნიშვნელობის
შესახებ

1. „დაუკრავს“ ზმნას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს და, როგორც მისი აგებულებიდანაც ჩანს, საობიექტო (სასხვისო) ქცევისაა. ოღონდ მის ერთ მნიშვნელობას (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით — პირველს) საობიექტო ქცევის გაგება არა აქვს¹. ეს მნიშვნელობა ლექსიკონში განმარტებულია ასე: „მუსიკალურ ინსტრუმენტს ხმას, ბგერებს გამოაცემინებს; მუსიკალურ ნაწარმოებს შეასრულებს საკრავზე“. საილუსტრაციოდ მოყვანილია შემდეგი უავტორო ფრაზა და ციტატები ლიტერატურიდან: საცეკვაოს დაუკრავს. — მაჩაბელმა... დაუკრა ჩონგური (ი. გოგებ.). ...და სულ სხვა ხმაზე დაუკრავ ამ ჩემს დაფსა და ნალარას (აკაკი).

განმარტებას შეესაბამება დამოწმებული საილუსტრაციო წინადადებები, მაგრამ ეს კია, რომ განმარტების ტექსტში მოცემული ნიუანსები მნიშვნელობისა შეიძლება უფრო მკვეთრადაც გაგვემიჯნა ერთმანეთისაგან. მართლაც, ერთი მხრივ, გვაქვს: „დაუკრავს ჩონგურს, დაფს, ნალარას“ (ე. ი. ინსტრუმენტს), ხოლო, მეორე მხრივ — „დაუკრავს საცეკვაოს“ (ე. ი. ჰანგს, მუსიკას, იმას, რაც საკრავზე, ინსტრუმენტზე სრულდება). ამიტომ ჯობდა განმარტების ტექსტში ამ ორი ნიუანსის გასამიჯნავად წერტილ-მძიმის ნაცვლად ყოფილიყო პარალელური ხაზები(//), რაც განმარტებით ლექსიკონში მიუთითებს მნიშვნელობის ახალ ელფერზე, ქვემნიშვნელობაზე.

განმარტებითი ლექსიკონის სადოკუმენტაციო ფონდში არსებული ახალი მასალის გათვალისწინებით ვლინდება ამ ზმნის პირველი მნიშვნელობის კიდევ ერთი ქვემნიშვნელობა, რომელიც ასე შეიძლე-

¹ ძველ ქართულშივეა ისეთი ვითარება, რომ ზოგჯერ ფორმით საობიექტო ქცევის ზმნები შინაარსით ნეიტრალურია (იხ. არნ. ჩიქობავა. ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში. იკმ, XI, გვ. 161).

ბა განიმარტოს: „ხმას, ბგერებს გამოსცემს, რასმე შეასრულებს (ორკესტრი...)“. თუ ამასაც დაუშვებდით, ამ ზმნის პირველი მნიშვნელობის განმარტება ასეთ სახეს მიიღებდა:

დაუკრავს 1. (დაუკრა, დაუკრავს) მუსიკალურ ინსტრუმენტს ხმას, ბგერებს გამოაცემინებს. სალამურს დაუკრავს. — მაჩაბელმა... დაუკრა ჩონგური (ი. გოგებ)... და სულ სხვა ხმაზე დაუტკრავ ამ ჩემს დაფსა და ნალარას (აკაკი) || მუსიკალურ ნაწარმოებს შეასრულებს საკრავზე. საცეკვაოს დაუკრავს. || ხმას, ბგერებს გამოსცემს, რასმე შეასრულებს (ორკესტრი...). დაუკრავს სასულე ორკესტრი („კომუნისტი“). ზურნამ ლეკური დაუკრა (მ. ჯავახ.)².

2. ქ ე გ ლ-ში მოცემული „დაუკრავს“ ზმნის პირველი მნიშვნელობის ორად გაყოფა აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ მხოლოდ მის პირველ ნაწილთან დაკავშირებით („მუსიკალურ ინსტრუმენტს ხმას... გამოაცემინებს“) დგება ერთი ნორმატული საკითხი. ეს საკითხი დგება იმ ნაწილთან, რომელთანაც ჩვენ დავტოვეთ ილუსტრაციები: „სალამურს დაუკრავს“, „დაუკრა ჩონგური“, „დაუტკრავ დაფსა და ნალარას“.

ანალოგიური ილუსტრაციები სხვაც ბევრია ქ მ ბ ლ-ის ფონდში³. ამ ფონდის მიხედვით, მაგალითად, „სალამურს დაუკრავს“ გვხვდება ვაჟასთან, რ. ერისთავთან, კ. გამსახურდიასთან..., „ჩონგურს დაუკრავს“ — აკაკისთან, ი. გოგებაშვილთან, გ. წერეთელთან, ე. ნინოშვილთან, ჭ. ლომთათიძესთან, ს. შანშიაშვილთან..., „სტვირს დაუკრავს“ — დ. ჭონჭაძესთან, თ. რაზიკაშვილთან, ვ. ბარნოვთან, მ. ჯავახიშვილთან... და ა. შ.

როდესაც ზმნის ადგილს მისი მასდარი ან მოქმედებითი გვარის მიმღეობა იჭერს, საკრავის აღმნიშვნელი სახელი სინტაგმაში გვევლინება ნათესაობით ბრუნვაში („სალამურის დაკვრა“, „ჩონგურის დამკვრელი“ და ა. შ.). ორი მაგალითი:

² ასევე შეივსებოდა „უკრავს“ ზმნის შესაბამისი მნიშვნელობა (იხ. ქ ე გ ლ, VI ტ. 1487—1488 სვ.): ჩონგურს უკრავს.. || ... საცეკვაოს უკრავს. || (ილუსტრაციები ქ ე გ ლ-ის ფონდიდან) სალამოობით სამხედრო მუსიკა უკრავდა (ა. ცაგარ.). ბაღში ჯაზი უკრავდა (დ. სულ.).

³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ფონდი, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობდით, დაკულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

სამგლოვიაროდ დაჰკათ დაფსა (ი. მახაზ. თარგმ.).

2) დაჰკრეს ნალარა, გულნი შეზარა (ნ. ბარათ.).

შემუსიკეთ დაჰკრეს დაფი (ს. შანშ.).

პირველად დოლი ილია ბახტაძემ დაჰკრა... და მთელმა საზოგადოებამ შექმნა ყაყანი (ილია).

პირველ შემთხვევაში საკრავის აღმნიშვნელი სიტყვა ბრუნვა-უცვლელი ობიექტია (დაჰკრავს დოლს — დაჰკრა დოლს), მეორე შემთხვევაში — ბრუნვაცვალებადი (დაჰკრავს დოლს — დაჰკრა დოლი).

ამას გარდა დადასტურებულია კიდევ ერთი კონსტრუქცია „დაუკრა დოლსა, ფანდურს“, რომელმაც სალიტერატურო ენაში გავრცელება ვერ პოვა⁴.

ამათგან სალიტერატურო ქართულმა, როგორც უკვე ითქვა, დღეისათვის შემოინახა ორგვარი კონსტრუქცია: „დაუკრავს დოლზე, სალამურზე, ჩონგურზე...“ და „დაუკრავს დოლს, სალამურს, ჩონგურს“... პირველი (დაუკრავს დოლზე — დაუკრა დოლზე) შეიძლება პირდაპირი „მემკვიდრე“ იყოს ზემოთ მოყვანილი სინტაგმისა (დაჰკრავს დოლს — დაჰკრა დოლს): მიცემითი უთანდებულო — მიცემითი თანდებულიანი (შდრ. მაგიდას მუშტი დაჰკრა — მაგიდაზე მუშტი დაჰკრა)⁵. მეორე (დაუკრავს დოლს — დაუკრა დოლი) იდენტურია წყვილისა: დაჰკრავს დოლს — დაჰკრა დოლი⁶.

ამგვარად, ორივე კონსტრუქციას საფუძველი აქვს, მაგრამ დღევანდელ სალიტერატურო ენაში არსებული ვითარება იმას გვიკარნახებს, რომ უბირატესობა უნდა მიეცეს ამ უკანასკნელს და უნდა ითქვას: „დაუკრავს დოლს, სალამურს, ჩონგურს, პიანინოს...“, და არა: „დაუკრავს დოლზე, სალამურზე, ჩონგურზე, პიანინოზე...“

1) ამას მხარს უჭერს ქართული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურა, სადაც ასეთი კონსტრუქციაა გაბატონებული (მაგალიტები იხ. ზემოთ).

⁴ „ძველად ითქმოდა: „ფანდურს დაუკრა“, ხევსურულში ეხლაც: „ფანდურს დამიკარ, ბერქუნდო“. „დაუკრა“ უქცეოა“, ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძველები, თბ., 1953, გვ. 357. შდრ. ხალხური ლექსი: „როგორც დამიკრავ ფანდურსა, მეც ისე დაგიროკლები“.

⁵ რომ არ იყოს დადასტურებული „დაჰკრა დოლს“ და მისთ., შეიძლებოდა გვეფიქრა, „დაუკრა რამეზე (დოლზე, სალამურზე...)“. გაჩენილა რუსული играть на чем-нибудь (на барабане, на свирели...). კონსტრუქციის ანალოგიით, მისი კალკიაო.

⁶ ამის შესახებ იხ. არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 154—159.

სამგლოვიაროდ დაჰკათ დაფსა (ი. მაჩაბ თარგმ.).

2) დაჰკრეს ნალარა, გულნი შეზარა (ნ. ბარათ.).

შემუსიკეთ დაჰკრეს დაფი (ს. შანშ.).

პირველად დოლი ილია ბახტაძემ დაჰკრა... და მთელმა საზოგადოებამ შექმნა ყაყანი (ილია).

პირველ შემთხვევაში საკრავის აღმნიშვნელი სიტყვა ბრუნვა-უცვლელი ობიექტია (დაჰკრავს დოლს — დაჰკრა დოლს), მეორე შემთხვევაში — ბრუნვაცვალებადი (დაჰკრავს დოლს — დაჰკრა დოლი).

ამას გარდა დადასტურებულია კიდევ ერთი კონსტრუქცია „და-უკრა დოლსა, ფანდურს“, რომელმაც სალიტერატურო ენაში გავრცელება ვერ პოვა⁴.

ამათგან სალიტერატურო ქართულმა, როგორც უკვე ითქვა, დღეისათვის შემოინახა ორგვარი კონსტრუქცია: „დაუკრავს დოლზე, სალამურზე, ჩონგურზე...“ და „დაუკრავს დოლს, სალამურს, ჩონგურს...“ პირველი (დაუკრავს დოლზე — დაუკრა დოლზე) შეიძლება პირდაპირი „მემკვიდრე“ იყოს ზემოთ მოყვანილი სინტაგმისა (დაჰკრავს დოლს — დაჰკრა დოლს): მი ც ე მ ი თ ი უ თ ა ნ დ ე ბ უ ლ ო — მი ც ე მ ი თ ი თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ა ნ ი (შდრ. მაგიდას მუშტი დაჰკრა — მაგიდაზე მუშტი დაჰკრა)⁵. მეორე (დაუკრავს დოლს — დაუკრა დოლი) იდენტურია წყვილისა: დაჰკრავს დოლს — დაჰკრა დოლი⁶.

ამგვარად, ორივე კონსტრუქციის საფუძველი აქვს, მაგრამ დღევანდელ სალიტერატურო ენაში არსებული ვითარება იმას გვიკარნახებს, რომ უპირატესობა უნდა მიეცეს ამ უკანასკნელს და უნდა ითქვას: „დაუკრავს დოლს, სალამურს, ჩონგურს, პიანინოს...“, და არა: „დაუკრავს დოლზე, სალამურზე, ჩონგურზე, პიანინოზე...“

1) ამას მხარს უჭერს ქართული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურა, სადაც ასეთი კონსტრუქციაა გაბატონებული (მაგალიტები იხ. ზემოთ).

⁴ „ძველად ითქმოდა: „ფანდურს დაუკრა“, ხევსურულში ეხლაც: „ფანდურს დამიკარ, ბერტუნდო“. „დაუკრა“ უქცეოა“, ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 357. შდრ. ხალხური ლექსი: „როგორც დამიკრავ ფანდურსა, მეც ისე დაგიროკლები“.

⁵ რომ არ იყოს დადასტურებული „დაჰკრა დოლს“ და მისთ, შეიძლებოდა გვეფიქრა, „დაუკრა რამეზე (დოლზე, სალამურზე...)“. გაჩენილია რუსული играть на чем-нибудь (на барабане, на свирели...). კონსტრუქციის ანალოგიით, მისი კალკიაო.

⁶ ამის შესახებ იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 154—159.

2) გამართლება აქვს თვით ზმნის აგებულებითაც: „დაუკრავს“ წარმოშობით ორობიექტიანი გარდამავალი ზმნაა და ბრუნვაცვალებად ობიექტს მოითხოვს: ამ ობიექტის როლში კი სწორედ საკრავის, ინსტრუმენტის სახელი გამოდის.

3) საინტერესო დამატებითს ჩვენებას გვაძლევს ზემოთ მოყვანილი ილუსტრაცია აკაკის ლექსიდან: „და სულ სხვა ხმაზე და ვუკრავ ამ ჩემს დაფსა და ნალარას“. წინადადება „დაფს... დაუკრავს“, მაშასადამე, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გაივრცოს გარემოებითი სიტყვით „როგორსაზე ხმაზე“ (რაც გამორიცხულია „დაფსზე... დაუკრავს“ კონსტრუქციის შემთხვევაში).

საგულისხმოა, რომ ჭებლ-ში რაიმე ინსტრუმენტის დამკვრელის აღმნიშვნელი სიტყვები განმარტებულია ასე:

მედუმუჟე — დუმუჟის დამკვრელი (და არა: დუმუჟზე დამკვრელი).

მევიოლინე — ვიოლინოს დამკვრელი (და არა: ვიოლინოზე დამკვრელი).

ანალოგიურადაა განმარტებული: „მესტვირე“, „მეფანდურე“, „მეჩონგურე“, „მეჭიანურე“ და მისთანები.

დასასრულ უნდა აღინიშნოს შემდეგიც: საკრავის აღმნიშვნელ სიტყვასთან ზე თანდებული აუცილებელია მაშინ, როდესაც წინადადებაში ნათქვამია, თუ რას, რა მელოდიას, რა ჰანგს ასრულებენ. ასე მაგალითად: „გიტარას დაუკრავს“, მაგრამ „გიტარაზე დაუკრავს საცეკვაოს“; „სალამურს დაუკრავს“, მაგრამ სალამურზე დაუკრავს „სულიკო“; „ჩონგურს დაუკრავს“, მაგრამ „ჩონგურზე მარტო სიმღერის ჰანგს უკრავენ ხოლმე“ (ივ. ჭავჭავაძე). „როიალი დაუკრა“, მაგრამ „შენ როიალზე სამხიარულო დაუკარ“ (ა. ადამ.); „დოლს უკრავს“, მაგრამ „ერთი მოხუცი კაცი... ოპერის ორკესტრში ქართულ ცეკვებს უკრავდა დოლზე“ (ა. სულაკაძე).

ასეთ წინადადებებში ბრუნვაცვალებადი ობიექტის როლში უკვე გამოდის მოტივის, ჰანგის აღმნიშვნელი სიტყვა, ხოლო ინსტრუმენტის სახელი ადგილის გარემოებად გვევლინება.